

<p>მიზნები</p>	<p>სასწავლო პროგრამის მიზანია, ადმინისტრაციულ საქმეებზე მუნიციპალიტეტის სასამართლოში წარმომადგენლობის პრაქტიკული ასპექტების გაცნობით, მუნიციპალიტეტის იმ მოხელეთა კვალიფიკაციისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ამაღლების ხელშეწყობა, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებულია მუნიციპალიტეტისა და მუნიციპალიტეტის ორგანოების სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეებზე წარმომადგენლობასთან.</p>
<p>შესასწავლი ძირითადი თემები</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. ადმინისტრაციული პროცესის სამართლებრივი საფუძვლები, ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის განსხვავება და მათი ურთიერთმიმართება 2. ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის ძირითადი პრინციპები 3. განსჯადობა 4. მოსამართლეთა საქმის განხილვაში მონაწილეობა და მათი აცილების სამართლებრივი საფუძვლები 5. პროცესის ხარჯები, საპროცესო ვადები და მტკიცებულებები 6. მხარეები ადმინისტრაციულ პროცესში (მოსარჩელე, მოპასუხე, მესამე პირები) 7. სარჩელის სახეები 8. განმწესრიგებელი სხდომა, გამარტივებული სამართალწარმოება და დაჩქარებული ადმინისტრაციული სამართალწარმოება. 9. გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება და დროებითი განჩინება 10. აპელაცია და კასაცია, საქმის წარმოების განახლება. 11. ადმინისტრაციულ საქმეებზე სარჩელის, შესაგებლის შედგენის ზოგადი ტექნიკა.
<p>სწავლის შედეგები</p>	<p>მსმენელმა იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • ადმინისტრაციული პროცესის სამართლებრივი საფუძვლები, ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობის განსხვავება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო

კანონმდებლობასაგან და მათი ურთიერთმიმართება

- ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის ძირითადი პრინციპები.
- სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს და მაგისტრატი მოსამართლეების განსჯადი საქმეები
- მოსამართლეთა საქმის განხილვაში მონაწილეობისა და მისი აცილების სამართლებრივი საფუძვლები
- საპროცესო ხარჯები, საპროცესო ვადები და მტკიცებულებებთან დაკავშირებული საპროცესო მოთხოვნები.
- მხარეები ადმინისტრაციულ პროცესში
- სარჩელის სახეები და მათი განსხვავება
- განმწესრიგებელი სხდომის თავისებურებები, გამარტივებული სამართალწარმოებისა და დაჩქარებული ადმინისტრაციული სამართალწარმოების თავისებურებები
- გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერებისა და დროებითი განჩინების თავისებურებები.
- სააპელაციო და საკასაციო წესით საქმის განხილვის თავისებურებები ადმინისტრაციულ პროცესში, საქმის წარმოების განახლების სამართლებრივი საფუძვლები.
- ადმინისტრაციულ საქმეებზე სარჩელისა და შესაგებლის შედგენის ზოგადი ტექნიკა

მსმენელს შეუძლია:

- ადმინისტრაციულ პროცესში გამოიყენოს შესაბამისი პროცესუალური ნორმები; შემთხვევის შესაბამისად, განსაზღვროს გამოსაყენებელი საპროცესო ნორმები; საჭიროებისამებრ, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები
- ადმინისტრაციულ პროცესში გამოიყენოს დისპოზიციურობის პრინციპი; ადმინისტრაციულ პროცესში გამოიყენოს შეჯიბრებითობის პრინციპი
- განსაზღვროს მიეკუთვნება, თუ არა კონკრეტული შემთხვევა ადმინისტრაციული სასამართლოს განსჯად საქმეებს; განასხვავოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოებისა და მაგისტრი მოსამართლეების განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები
- დააყენოს მოსამართლის აცილების დასაბუთებული შუამდგომლობა.
- განსაზღვროს გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა; მოითხოვოს საპროცესო ხარჯების ანაზღაურება; მოითხოვოს

	<p>სახელმწიფო ბაჟისგან გათავისუფლება; კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილებები, სასამართლოს განჩინებები; დააყენოს შუამდგომლობა სასამართლოს მიერ მტკიცებულებების გამოთხოვის თაობაზე; მოითხოვოს სასამართლოს აქტების გაცნობა.</p> <ul style="list-style-type: none"> • დააყენოს შუამდგომლობა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილის შესაბამისად მესამე პირის საქმეში ჩაბმის თაობაზე • მოამზადოს სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით; მოამზადოს სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით; მოამზადოს სახელშეკრულებო დავასთან დაკავშირებული სარჩელი • დააყენოს შუამდგომლობა გამარტივებული სამართალწარმოების შესახებ; დააყენოს შუამდგომლობა დაჩქარებული ადმინისტრაციული სამართალწარმოების შესახებ • გაასაჩივროს სასამართლოს განჩინება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერებაზე • იმსჯელოს სააპელაციო და საკასაციო საჩივრების დასაშვებობაზე; იმსჯელოს სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული მესამე პირების ჩაბმაზე; მოითხოვოს საქმისწარმოების განახლება. • კანონმდებლობით დადგენილი წესით შეავსოს სარჩელისა და შესაგებლის ფორმები
მოცულობა	კრედიტი: 0.7 საკონტაქტო საათი: 14
მწვრთნელი/მწვრთნელები	<ol style="list-style-type: none"> 1. დავით მაკარიძე 2. სალომე წურწუშია
სასწავლო პროგრამის მიმწოდებლის საკონტაქტო ინფორმაცია	<p>ნინო რომაშვილი ელ.ფოსტა: nromashvili@tcj.gov.ge ტელ: (995 32) 2 94 22 28 , 2 38 22 59; 599 58 88 01</p>